**დანართი IX**

**ნარინჯისფერი ტაბლო**

<u>საშიშროების საიდენტიფიკაციო ნომრისა და გაეროს ნომრის აღნიშვნით</u>




ფონი – ნარინჯისფერი.
კონტური, ჰორიზონტალური ხაზი და ციფრები – 15მმ სისქის, შავი ფერის.
თითოეული ზომისთვის, რომელიც აღნიშნულია ნიმუშზე განიხილება ± 10% დაშვება.
როდესაც ნარინჯისფერი ტაბლო ან ალტერნატიული მარკირება, RID-ის 5.3.2.2.1 ქვეპუნქტის შესაბამისად, დამაგრებულია დასაკეც პანელებზე, ისინი უნდა დამზადდეს და მიმაგრდეს ისე, რომ გადაზიდვის დროს ან არ დაიკეცოს, ან დამჭერისგან არ მოეშვას (განსაკუთრებით ზემოქმედების ან გაუფრთხილებლობითი ქმედების შედეგად).

***<u>შენიშვნა:</u>*** 2-9 კლასის ნივთიერებებისთვის საშიშროების აღმნიშვნელი ნომერი შედგება ორი ან სამი ციფრისგან, რომლებიც აღნიშნავენ შემდეგ საფრთხეებს:

2 – აირის ემისია წნევის ან ქიმიური რეაქციის გამო;
3 – სითხეების (ორთქლების) და აირების ან თვითთბობადი სითხის აალებადობა;
4 – მყარი ნივთიერებების ან თვითთბობადი მყარი ნივთიერებების აალებადობა;
5 – ჟანგვადობის (წვის გამაძლიერებლის) ეფექტი;
6 – ტოქსიკურობა ან ინფექციის რისკი;
7 – რადიოაქტიურობა;
8 – კოროზიულობა;
9 – თვითნებური ძლიერი რეაქციის რისკი.

თუ საშიშროების საიდენტიფიკაციო ნომერს წინ ასო „X“ უსწრებს, ეს ნიშნავს, რომ ნივთიერება საშიშ რეაქციაში შედის წყალთან. ასეთ ნივთიერებებთან, წყლის გამოყენება მხოლოდ ექსპერტების დასტურის შემდეგ შეიძლება.